ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N3

დაბა ქედა 26 ოქტომბერი, 2023 წელი.

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ დავითაძე; შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის უფროსი - ზურაბ ყადიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

26.10.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრიდან გამოითხოვა ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის შესახებ (განცხადების ნომერი 06-95232981-95; განცხადების თარიღი 25.10.2023 წელი).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის უფროსმა - ზურაბ ყადიძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ: ქედის სერვის ცენტრის ბაზაში სულ დარეგისტრირებულია 3407ოჯახი. მათ შორის:

0-დან 30 000-მდე - 111.
30 001 – 57 000 – 380
57 001 – 60 000 – 68
60 001 – 65 000 – 107
65 001 – 100 000 -1250
100 001 – 200 000 – 1336
200 001-დან - 155

აქედან დაახლოებით 1916 ოჯახი არის მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა:

არჩილ გორგილაძემ, ლევან ვერძაძემ და ოთარ ხარაძემ. მათი შეკითხვით რატომ იზრდება სარეიტინგო ქულა ყოველ გადამოწმებაზე? რამდენად ობიექტურად ენიჭება ოჯახს სარეიტინგო ქულა? გენერაციის შევსებიდან ოჯახის ქულა რამდენ ხანში დგინდება?

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის უფროსის - ზურაბ ყადიძის განმარტებით ოჯახის სარეიტინგო ქულის მომატებას ან ობიექტურად მინიჭებას ქედის ფილიალი არ წყვეტს, სოციალური მომსახურების სააგენტოს სისტემა მუშაობს ცენტრალიზებურად, ქედის სერვის ცენტრს ბაზაზე წვდომის საშუალებაც არა აქვს. გენერაციის შევსებიდან ერთი თვის შუალედში დგინდება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

კომისიის სხვა წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე